



# 21-ე საუკუნის ზრდასრულთა განათლების მანიფესტი



EUROPEAN ASSOCIATION FOR  
THE EDUCATION OF ADULTS



# სწავლის ძალა და სიხარული

ამ მანიფესტით ზრდასრულთა განათლების ევროპის ასოციაცია გთავაზობთ, შეიქმნას „შემსწავლელი ევროპა“, ანუ ისეთი ევროპა, რომელიც მომავალში შეძლებს, საჭირო უნარების, ცოდნისა და კომპეტენციის გამოყენებით, წარმატებით გაართვას თავი გამოწვევებს.

ევროპაში მცხოვრებთ ვთავაზობთ, გახდნენ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარების პროცესის მონაწილენი, რათა საზოგადოებას ჰქონდეს უნარი, თანამედროვე გამოწვევებს დაუდგეს წინ. ეს ახლა მდგრად ინვესტიციებს მოითხოვს ზრდასრულთა განათლებაში ყველა დონეზე - ევროპის, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. ექვგარეშეა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ინვესტიციები დანახარჯს გაამართლებს: ამაღლება კონკურენტუნარიანობის, კეთილდღეობისა და ერების ჯანმრთელობის დონე, გაიზრდება ეკონომიკური განვითარების ტემპი და ა.შ.

ზრდასრულთა განათლებას შეუძლია, შეცვალოს ცხოვრება და საზოგადოების ტრანსფორმაცია

მოახდინოს. განათლების უფლება საზოგადოების ფუნდამენტური უფლება და საერთო სარგებელია. ამჟამად, ევროპის ძირითად პოლიტიკურ სტრატეგიას ზრდასრულთა განათლების დღის წესრიგი წარმოადგენს, რომლის რეალიზაციას, ევროკავშირის წევრი ქვეყნების დონეზე, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ნაციონალური კოორდინატორები ახდენენ. ზრდასრულთა განათლების ევროპული ასოციაცია (EAEA) ამ პროგრამული დოკუმენტის გაძლიერებისთვის იღწვის და ზრდასრულთა განათლების სფეროს გაძლიერების მიზნით დამატებითი ღონისძიებების აუცილებლობას უსვამს ხაზს. მანიფესტში მოყვანილია არგუმენტები, თუ როგორ შეუძლია ზრდასრულთა განათლებას, ხელი შეუწყოს ევროპის პოლიტიკის მიმართულელებს სხვადასხვა სფეროში. თუმცა იმისათვის, რომ ეს ასე მოხდეს, სოლიდური საზოგადოებრივი ინვესტიციებია საჭირო ზრდასრულთა განათლებაში და თვით შემსწავლელელებში. ბევრი პოლიტიკოსი, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირები და მოქალაქეები

ვერ აცნობიერებენ, თუ რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს ზრდასრულთა განათლება საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პირადი პრობლემების გადასაჭრელად. ზრდასრულთა განათლების შესახებ ევროპაში ცნობიერების ამაღლების მიზნით, ზრდასრულთა განათლების ევროპის ასოციაცია EAEA „ზრდასრულთა განათლების ევროპის წლის“ ჩატარებას გთავაზობთ. თემატური ფოკუსი შეიძლება იყოს „სწავლის ძალა და სიხარული“. ამით ჩვენ გვსურს, ერთი მხრივ, ხაზი გავუსვათ ზრდასრულთა განათლების ტრანსფორმაციულ შესაძლებლობებს და მეორე მხრივ -სწავლის პოზიტიურ გავლენას. ბევრი ადამიანი სიფრთხილით ეკიდება სწავლას სკოლის უიღბლო გამოცდილების გამო, მიაჩნიათ, რომ სწავლა მძიმე ტვირთად დააწვებათ და დატანჯავთ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად. EAEA მიისწრაფვის, წარმოაჩინოს ზრდასრულთა განათლების პოზიტიური მხარე, რადგანაც ვიცით, რომ ეს არის საუკეთესო მიდგომა - სწავლისკენ მოვიზიდოთ მისგან უკიდურესად შორს მდგარი ადამიანები.



# გამოწვევები და მათი დაძლევა

ზრდასრულთა განათლება მთავარი ინსტრუმენტია ევროპის ზოგიერთი მნიშვნელოვანი გამოწვევების წარმატებით დასაძლევად. ევროპის წინაშე დგას უთანასწორობის პრობლემა არა მხოლოდ ადამიანთა შორის, არამედ რეგიონებსა და ქვეყნებს შორისაც ევროპის ფარგლებში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს უფრო და უფრო მეტი ევროპელი ექვექვემ აყენებს ევროპულ ღირებულებებს, რადგან ხმას აძლევენ ქსენოფობიური და ანტიევროპული შეხედულებების მქონე პარტიებს. თავის მხრივ, ახალგაზრდების პატარა ჯგუფები იმდენად რადიკალურები ხდებიან, რომ ტერორისტულ აქტებს სჩადიან. ბევრ რეგიონში და ქვეყანაში უმუშევრობის დონე (განსაკუთრებით ახალგაზრდებში) ძალიან მაღალია. ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება კი არა მხოლოდ ართულებს სიტუაციას, არამედ პერსონალისგან, მოქალაქეებისგან და მომხმარებლისგან ახალ კომპეტენციებსა და უნარ-

ჩვევებს მოითხოვს. მიგრაციულ და დემოგრაფიულ ცვლილებებს თან მოაქვს ცვლილებები მოსახლეობის შემადგენლობაში. სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება, ადამიანებს სურთ, რაც შეიძლება დიდხანს იყვნენ ჯანმრთელები და აქტიურები, თუმცა ჩვენ ასევე გვჭირდება უფრო მეტი მიგრანტი და ამ ყველაფრის ბალანსი (თუ კონტრასტი) ზრდადი უმუშევრობისა და ქსენოფობიის გამო ძალიან მყიფეა. ახლოჟამს ევროპას მოაწყდა ლტოლვილების ნაკადი, რამაც ევროპის მთავრობა რთული ამოცანების წინაშე დააყენა. ამ მოვლენებმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ევროპის მოსახლეობაში; ერთი მხრივ, მათი ნაწილი ლტოლვილთა დასაცავად გამოვიდა, მეორე მხრივ, კი ზოგიერთებმა ძალადობა და სიმულვილი გამოავლინეს მათ მიმართ. კლიმატური ცვლილებები და ეკოლოგიური პრობლემები ევროპისთვის (და არა მხოლოდ ევროპისთვის) საფრთხეების შექმნას

აგრძელებს და უფრო მდგრად ეკონომიკას, საზოგადოებასა და გონივრული ცხოვრების წესებს მოითხოვს. ზრდასრულთა განათლებას შეუძლია, ბევრი ჩამოთვლილი გამოწვევის მოგვარების საშუალებები შესთავაზოს მას, რაც სარგებელს მოუტანს ინდივიდუალურ მონაწილესაც, საზოგადოებასაც და მთლიანად ეკონომიკას. გვინდა ჩვენ ინოვაციური, თანასწორი, მყარი ევროპა, რომლის ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობენ დემოკრატიული პრინციპების მქონე მოქალაქეები? გვინდა ევროპა, სადაც ადამიანებს აქვთ ცოდნა და უნარი, როგორ იცხოვრონ პროდუქტიულად, დარჩნენ ჯანმრთელნი და ადრეული ასაკიდან ღრმა სიბერემდე მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში? წინამდებარე პუბლიკაციაში EAEA წარმოადგენს არგუმენტებს, კვლევის შედეგებს, შემსწავლელების მაგალითებს და გამოცდილებას, რომლებიც ჩვენს პოზიციას თვალნათლივ ასახავს.



# აქტიური მოქალაქეობა, ჩართულობა და დემოკრატია

EAEA და მისი წევრი ორგანიზაციები ევროპისადმი და ევროპული ფასეულობებისადმი ურყევ ერთგულებას გამოხატავენ. მიგვაჩნია, რომ კულტურათაშორისი გაცვლა და ურთიერთქმედება არის პატივისცემით, მონაწილეობით, ერთიანობით გაჯერებული ევროპის შექმნის გასაღები ინსტრუმენტი.

ზრდასრულთა განათლების ბევრი ორგანიზაცია განმათავისუფლებელი მოძრაობების შედეგად (მუშების, ქალების, რელიგიური ორგანიზაციების და ა.შ.) დაფუძნდა. ზრდასრულთა განათლება დღემდე აგრძელებს როგორც ცოდნისა და ნოუ-ჰაუს, ასევე, დემოკრატიისა და მოქალაქეობის განვითარებისთვის სივრცის უზრუნველყოფას. გარდა ამისა, ზრდასრულთა განათლებას

შეუძლია გაამყაროს და გაააქტიუროს სამოქალაქო საზოგადოება. ევროპაში ზრდადმა რადიკალიზაციამ აჩვენა, რომ აუცილებელია დემოკრატიული მიდგომების, ტოლერანტობის და პატივისცემის განმტკიცება. მოცემული სიტუაციის გაუმჯობესებაში კულტურათაშორისი და კონფესიათაშორის დიალოგს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

გარდა ამისა, ზრდასრულთა განათლებას შეუძლია, ხელი შეუწყოს დემოკრატიის განვითარებას და მოქალაქეთა მეტ ჩართულობას ნაციონალურ და რეგიონულ დონეებზე, უზრუნველყოს გამჭვირვალობა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცება, ამავე დროს წვლილი შეიტანოს კრიტიკული

აზროვნების განვითარებაში, მოქალაქეების უფლებებისა და შესაძლებლობების ზრდაში. ზრდასრულთა კომპეტენციების შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PIAAC)<sup>1</sup> კვლევის შედეგების მიხედვით, არსებობს აბსოლუტური კავშირი „ნდობასა“ და „პოლიტიკურ ეფექტურობას“ შორის უნარების განვითარების დონეების მიხედვით. რაც უფრო ნაკლებად აქვს საბაზო უნარები განვითარებულ ადამიანს, მით უფრო ნაკლებია მისი ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ და კიდევ უფრო ნაკლებია მისი რწმენა საკუთარ უნარების მიმართ, რომ ის რაიმე გავლენის მოხდენას შეძლებს. ზრდასრულთა განათლებაში ჩართული ადამიანები გაცილებით უფრო ხშირად არიან ჩართული მონაღისეობრივ საქმიანობაშიც.

## წარმატებული პრაქტიკა

1 [www.oecd.org/site/piaac/surveyo-fadultskills.htm](http://www.oecd.org/site/piaac/surveyo-fadultskills.htm)

რუმინულმა პროექტმა „Citizens First“ („მოქალაქე უპირველეს ყოვლისა“) შედეგად მიიღო მდგრადი, ეროვნული მასშტაბის ცვლილებები პატარა თემებში, განსაკუთრებით კი - სოფლებში. პროექტი მიმართულია აქტიური მოქალაქეობის განვითარებისკენ: ადამიანები სწავლობენ საკუთარი აზრის გამოთქმას მათი დასახლებული პუნქტებისათვის პირველხარისხოვანი საკითხების შესახებ. პროექტი ასევე აწვდის მათ გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტებს, რომლებიც თავად შეუძლიათ გამოიყენონ. პროექტის მონაწილეები საზოგადოების გამოწვევებს ერთობლივად გამოყოფენ და კენჭს უყრიან იმ პრობლემებს, რომლებიც, პირველ რიგში, გადაწყდება, თუკი ერთობლივი ძალისხმევით შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმებს. პროექტი გასცდა სამოქმედო გეგმების უბრალო შემუშავების საზღვრებს; შეიცვალა ცნობიერება და მოქალაქეების მხრიდან ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება: გადაწყვეტილების მიმღებებად მხოლოდ საჯარო მოხელეები აღარ აღიქმებიან, ისინი უკვე თანაბარი პარტნიორები არიან განვითარებისკენ მიმავალ გზაზე. ახლა საკითხი დგას ასე: „რა უნდა გაკეთდეს და თავად რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენთვის და ჩვენი საზოგადოებისთვის?“

## კვლევებით დასტურდება

როდესაც ვსაუბრობთ სოციალურ ერთიანობაზე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ განათლების მთავარი წვლილი არის ნდობის ფორმირება, თანამშრომლობის განმტკიცება სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში და, ასევე, ძალადობრივი დანაშაულის შემცირება. გარდა ამისა, პიროვნების ჩართულობა საკუთარ განათლებაში, დიდი ალბათობით, მიგვიყვანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობამდე, რადგან „რაც უფრო მეტი შემსწავლელია ჩართული საკუთარ განათლებაში (საშუალოდ), მით უფრო მეტად არიან ისინი დაინტერესებული პოზიტიური როლი ითამაშონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.“ (გვ.20). უფრო მეტიც, ზრდასრულთა განათლების წყალობით, შემსწავლელი უფრო ტოლერანტული ხდებიან სხვა რასისა და კულტურის წარმომადგენელთა მიმართ და არჩევნებში მათი მონაწილეობის ალბათობაც იზრდება. პრესტონმა (2004) გააანალიზა ზრდასრულთა განათლების გავლენა მონაწილეთა მოქალაქეობაზე და ფასეულობების ფორმირებაზე და აღმოაჩინა, რომ სწავლას შეუძლია გავლენა მოახდინოს ფორმალურ და არაფორმალურ სამოქალაქო ჩართულობაზე. რაც შეეხება არაფორმალურ სამოქალაქო ჩართულობას, ზრდასრულთა განათლება ადამიანებს ეხმარება შექმნან, შეინარჩუნონ, გაწყვიტონ, გადააწყონ და გაამდიდრონ საკუთარი სოციალური ქსელები. ასევე, ღირებულებების ფორმირება შეიძლება მოექცეს სწავლის გავლენის ქვეშ. მაგალითად, რესპოდენტები ხაზს უსვამენ ტოლერანტობის, ურთიერთგაგების და პატივისცემის დონის ცვლილებებს. სოციალური და სამოქალაქო აქტივობა (SCE), როგორც სწავლის შედეგი, 2007 წელს გააანალიზა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD).

იხილეთ: [www.eaea.org/media/policy-advocacy/piaac/piaac-analysis\\_wakeup-call-for-europe.pdf](http://www.eaea.org/media/policy-advocacy/piaac/piaac-analysis_wakeup-call-for-europe.pdf)

## წარმატებული პრაქტიკა

შვედი მუსლიმების კვლევითმა ორგანიზაციამ “Ibn Rushd” მსოფლიო კულტურის სფეროში განახორციელა პროექტი „მშვიდობიანი ისლამური კულტურის იდეის გავრცელება“ („Att främja islamisk fred”), რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა მუსლიმებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით მოირგეს „მშვიდობის აგენტების” როლი. პროექტის მონაწილეებმა მიიღეს ცოდნა და ისწავლეს მშვიდობის, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე მუშაობის მეთოდები. გრძელვადიანი მიზანი არის ისლამოფობიის დამარცხება - შიშისა და ისლამის მიმართ მტრული დამოკიდებულების შეცვლა (რაც ხშირად შეინიშნება დასავლეთში) და პირიქით, შიშისა და მტრული დამოკიდებულების დამარცხება დასავლეთის მიმართ („დასავლეთოფობიის დამარცხება“), რაც ასევე ხშირია მუსლიმებში. ამასთან ერთად, საფუძვლები შეიქმნა მუსლიმების მშვიდობიანი მოძრაობის ორგანიზაციის “Svenska Muslimer for och rattvisa” („შვედი მუსულმანები მშვიდობისა და სამართლიანობისათვის“) შესაქმნელად.



# ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები

ზრდასრულთა განათლებას მთელი რიგი უნარებითა და მნიშვნელოვანი სასწავლო გამოცდილებით უზრუნველყოფა შეუძლია, რომელთა სარგებელი და მიზნები ფართო სფეროს მოიცავს - საბაზისო უნარებიდან ენების სწავლამდე; ჰობი-კურსებიდან პროფესიულ განათლებამდე; საოჯახო სწავლებიდან ჯანმრთელობის უზრუნველყოფამდე...  
ზრდასრულთა განათლებას ისეთი გზების შეთავაზება შეუძლია, რომელიც პიროვნებებს არა მხოლოდ კარიერის შექმნაში, არამედ, ზოგადად, მთელი ცხოვრების

მანძილზე დაეხმარება. თუმცა არა მხოლოდ სწავლების პირდაპირი შედეგებია მნიშვნელოვანი ადამიანებისთვის: კვლევა ადასტურებს, რომ არაფორმალურ განათლებაში ჩართულობა ზრდასრულ შემსწავლელებს სხვა უპირატესობებსაც აძლევს.

ზრდასრულთა განათლებას ცხოვრების ტრანსფორმაცია და ახალი შესაძლებლობებით უზრუნველყოფა შეუძლია, კერძოდ: სამსახურში მოწყობის შანსების გაუმჯობესება, ფორმალური განათლების

სისტემაში სწავლების შესაძლებლობა, არასრული სასკოლო განათლების მქონე ადამიანების საგანმანათლებლო პროცესში დაბრუნება, მშობლების დახმარება მათი ამოცანების გადაჭრაში, ადამიანის მხატვრული და კულტურული პოტენციალის გახსნა და უფრო ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება.

## კვლევით დასტურდება:

კვლევის შედეგების მიხედვით, შემსწავლელები ზრდასრულთა ლიბერალური განათლებისგან ბევრ სარგებელს იღებენ. ისინი თავს უფრო ჯანმრთელად გრძნობენ და ჯანმრთელი ცხოვრების წესებსაც იცავენ; აგებენ ახალ სოციალურ ქსელებს და აქვთ გაუმჯობესებული კეთილდღეობა. უფრო მეტიც, ზრდასრულები, რომლებიც ჩართული არიან ზრდასრულთა ლიბერალურ განათლებაში, უფრო მოტივირებული არიან უწყვეტი განათლების მიღებაში და მას ცხოვრების გაუმჯობესების შესაძლებლობად აღიქვამენ. ამ უპირატესობებს ხაზი ყველა მიმართულების შემსწავლელებმა გაუსვეს - ენებისა და ხელოვნების სწავლებით დაწყებული, სპორტითა და სამოქალაქო სწავლებით დამთავრებული. [...] ზრდასრულთა განათლებით განსაკუთრებით დიდ სარგებელს განათლების დაბალი დონის მქონე ადამიანები იღებენ ( ISCED 1:32% და ISCED 2: 22%).

## წარმატებული პრაქტიკა

მელი, დიდი ბრიტანეთიდან, უკვე 13 წლის განმავლობაში იტანჯებოდა აგორაფობიით, როდესაც 2007 წლის სექტემბერში მხნეობა მოიკრიბა და წიგნიერების ამაღლების კლასში ჩაეწერა. შიშის მიუხედავად, გაკვეთილებს ესწრებოდა და შენიშნა, რომ სწავლა ყოველ მომდევნო კვირაში უფრო უადვილდებოდა. მელი მეცადინეობებს ჰალის (Hull) ზრდასრულთა განათლების ცენტრში გადიოდა. წიგნიერების საწყისი მე-3 დონე და შემდგომ უკვე 1-ელი და მე-2 დონეები გაიარა და თავის მომდევნო მიზანსაც მიაღწია - მათემატიკური წიგნიერების პირველი დონე დახურა.

შემდეგ მელმა უკვე სხვების დახმარებაც მოინდომა. ამიტომ მოხალისეების კურსები გაიარა და სწავლის სირთულეების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ზრდასრულების კლასში მოხალისედ დაიწყო მუშაობა. იმის გამო, რომ სურდამასწავლებელ-კონსულტანტი (ტუტორი) გამხდარიყო, მან ეროვნული პროფესიული კვალიფიკაციის კურსების (NVQ) პირველი დონე გაიარა შემსწავლელთა მხარდაჭერის პროგრამით და სწავლა უწყვეტი განათლების კურსებზე განაგრძო მასწავლებლობისთვის მოსამზადებლად. მალე იგი ამ კურსსაც დაასრულებს. მელს ახლა უკვე აქვს საკუთარი თავის რწმენა, დიდი სიამოვნებით ატარებს დროს ოჯახთან ერთად, 40 კილოგრამი დაიკლო და სწავლის გარდა მოხალისედაც მუშაობს Dove House-ს საქველმოქმედო მაღაზიაში.

„ახლა უკვე ვერაფერი შემაჩერებს. მე არაფერი მქონდა, მაგრამ ახლა მაქვს ახალი ცხოვრება და ყველაფერი ეს იმის წყალობით, რომ სწავლას დავუბრუნდი“, - ღიმილით ამბობს მელი.

სრული ვერსია იხილეთ: [www.alw.org.uk/winner-stories/winner-story/2011/melanie-turner](http://www.alw.org.uk/winner-stories/winner-story/2011/melanie-turner)



# სოციალური ერთიანობა, თანასწორობა და სამართლიანობა

განათლების დონე უზარმაზარ გავლენას ახდენს ადამიანის შესაძლებლობებზე: პროფესიით დაწყებული, რომელიც მას შეუძლია შეიძინოს - სიცოცხლის ხანგრძლივობით დამთავრებული. სწავლების დადებითი ეფექტი, ჩვეულებრივ, იმ ფაქტის მეშვეობით აღიქმება, რომ უფრო მაღალი განათლების მქონე ადამიანები ცდილობენ, განაგრძონ სწავლა და მათ უფრო მეტი შესაძლებლობები ეძლევათ ამისათვის, ვიდრე მათ, ვისი განათლების დონეც დაბალია.

ზრდასრულთა განათლებას შეუძლია, ადრეულ ასაკში განათლების უკმარისობის კომპენსირება მოახდინოს და ადამიანს საშუალება მისცეს, სოციალურად უფრო მობილური იყოს. ზრდასრულთა განათლება მის მონაწილეებს არა მხოლოდ ცხოვრების გაუმჯობესების უამრავ შესაძლებლობას ამლევს (საბაზო უნარების განვითარებიდან დაწყებული საბაზო განათლების მიღების მეორე შანსამდე და მიგრანტებისთვის ენების კურსით დამთავრებული), არამედ საზოგადოებას

მთლიანად ათანასწორებს უფრო მყარი საზოგადოებრივი საფუძვლების შექმნით და ხელს უწყობს მის ეკონომიკურ ზრდას.

უფრო მეტი სოციალური ჩართულობისთვის აუცილებელია მოსახლეობის იმ ჯგუფების მოზიდვა, რომლებიც განათლებაში არ მონაწილეობენ. სწორი მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით მოქალაქეებში დიდი საზოგადოებრივი აქტიურობის მიღწევა შეიძლება დემოკრატიის, ეკონომიკის, ხელოვნებისა და კულტურის სფეროებში.

## წარმატებული პრაქტიკა

ზრდასრულთა განათლების ცენტრში “La Vermeda-Sant Marti” პირველად მოსული ადამიანების მისაღება განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი საქმე, რომელიც ინდივიდუალურად უნდა მოხდეს. ცენტრში მოსული თითოეული ადამიანისთვის სპეციალურად გამოიყოფა დრო, ხოლო წინა წლის მონაწილეს გადამწყვეტი როლი აქვს მიღება-რეგისტრაციასა და ჯგუფებში განაწილებაში. მათ უკვე აქვთ კომუნიკაციის უნარი და კარგად ესმით, თუ რა შეგრძნებებთან არის დაკავშირებული ცენტრში პირველად მოსვლა. ჯგუფებში დონეების მიხედვით ახალმოსულთა გადანაწილება შემსწავლელთან დიალოგზე და კონსენსუსზეა (ორივე მხარის შეთანხმებაზე) დამოკიდებული. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ თითოეულ მსმენელს ესმოდეს ცენტრში სწავლის არსი და მისთვის შესაბამის ჯგუფში განაწილდეს, სადაც ის ყველაზე მეტს ისწავლის. ცენტრის თანამშრომლები და მოხალისეები ცდილობენ, იმგვარად იმოქმედონ, რომ ახალ შემსწავლელებს არ დარჩეთ შეგრძნება, თითქოს მათი ტესტირება ხდება.



## წარმატებული პრაქტიკა

შვედეთში „სწავლის წამახალისებელ სახალხო უმაღლესი სკოლის კურსებს“, რომელიც ახალგაზრდა სამსახურის მაძიებლებს სწავლის გაგრძელების მოტივაციას უმაღლეს, კარგი შედეგები აქვს. კურსდამთავრებულების 40% სწავლას ან მუშაობას აგრძელებს, 2/3-ზე მეტს კი სწავლის მოტივაცია უმაღლდება და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ განათლება არის გზა კარიერისკენ.

მთელს შვედეთში ტარდება სპეციალური სახალხო უმაღლესი სკოლის კურსები მიგრანტებისთვის, რომლებიც შვედეთში დაფუძნებას ცდილობენ და ლტოლვილებისთვის, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ.

ასეთი განსაკუთრებულად წარმატებული ძალისხმევა სახელმწიფოს მხრიდან რეგულარულად დაფინანსებული ზრდასრულთა განათლების ეროვნული სტრუქტურის ფარგლებში არსებულ კომპეტენციებზე და ორგანიზაციაზე დაყრდნობით გახდა შესაძლებელი. ეს არის ზრდასრულთა განათლების მდგრადი მოდელი, რომელიც ამავე დროს მოქნილია საზოგადოების ახალ მოთხოვნებთან და გამოწვევებთან ადაპტაციისთვის.



# დასაქმება და დიגיტალიზაცია

დასაქმებასა და განათლებას შორის დადებითი კავშირი აშკარაა: უწყვეტ განათლებაში ჩართული თანამშრომლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რადგან სწორედ მათი დამსახურებით ვითარდება კომპანიაში ინოვაციები და ნაყოფიერება, იზრდება კონკურენტუნარიანობა და სამეწარმეო ინიციატივა. სამუშაო ადგილზე სწავლა არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორთაგანი, რომელიც მოტივაციას აძლევს ზრდასრულებს, მონაწილეობა მიიღონ უწყვეტ განათლებაში; ხოლო თანამშრომლობა მთავარ მოთამაშეებს შორის, განსაკუთრებით კი - სოციალურ პარტნიორებს შორის, უკიდურესად მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ EAEA ცოდნისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლებას იზიარებს, ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ ნებისმიერი სახის სწავლა დასაქმებისთვის კარგია. EAEA წახალისებს სწავლის ისეთ მიდგომებს, რომელიც ხელს უწყობს საბაზო და ფართო მოხმარების უნარების განვითარებას. წმინდა ტექნიკური მიდგომები ისეთი შეზღუდული უნარების სწავლების საშიშროების წინაშე დგას, რომელიც შესაძლოა, მალე მოძველდეს. თუმცა თუ სწავლის სწავლას,

ინოვაციებსა და მეწარმეობას სიღრმისეულ ინტერესთან და გამოცდილებასთან ერთად ასწავლი, შეიძლება მივიღოთ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროცესში ჩართული ადამიანი, რომელიც ინფორმალური, არაფორმალური და ფორმალური სწავლის კომბინაციას მოახდენს და თანამედროვეობას აუწყობს ფეხს.

თვალნათელია, რომ ევროპას მომავალში დასჭირდება უფრო მეტი ცოდნა და უფრო ნაკლები დაბალი კვალიფიკაციის მქონე დასაქმებული. ამის ყველაზე ნათელ დასტურს ციფრული ტექნოლოგიების განვითარება წარმოადგენს. ჩვენ დიდი ცვლილებების ზღვარზე ვდგავართ: ელექტრონული მთავრობით დაწყებული, ონლაინ შოპინგებით, ავტომატიზაციითა და ყველა იმ ცვლილებით დამთავრებული, რომელიც ინტერნეტს მოაქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა უზრუნველყოთ ციფრული უნარების უფსკრულის ამოვსება და იმის გარანტირება, რომ ყველა თავისუფლად გამოიყენებს კომპიუტერს, ტაბლეტებს, სმარტფონებს და მათთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს. უკვე აქედანვე შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ მოძველებული პროფესიების გაქრობის

და ახლების წარმოქმნის ტენდენცია შენარჩუნდება. ევროპას დასჭირდება მაღალი კვალიფიკაციის კადრები, რომლებსაც ცვლილებებთან სწრაფი ადაპტაციის უნარი ექნებათ. ამ უნარის განვითარება კი, მხოლოდ სწავლით შეიძლება. ძალიან ბევრი სახელმწიფო სერვისი და სამოქალაქო ჩართულობის ინსტრუმენტი უკვე ინტერნეტით არის ხელმისაწვდომი. ციფრული განათლება იძლევა ციფრული ინკლუზიისა და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის გარანტიებს. უფრო მეტიც, რადიკალური ცვლილებები მომსახურების სფეროსაც შეეხება. ადამიანების უმუშაო კონტაქტების რაოდენობა და სიხშირე შემცირდება. ცვლილებები შეეხება ასევე დისტანციურ სწავლებას, რომელიც ფართო შესაძლებლობებს გვთავაზობს, მაგრამ ამცირებს სოციალური ასპექტების მნიშვნელობას, რაც ბევრი შემსწავლელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ზრდასრულთა განათლებას კი შეუძლია ასეთი შეხვედრის ადგილებით უზრუნველყოფა, რაც ევროპის კეთილდღეობისთვის, ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, სოლიდარობისა და სოციალური ინტეგრაციისთვის არის აუცილებელი.

## კვლევებით დასტურდება

„BELL“-ის („Benefits of Life-long Learning“, ქართულად - „მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების უპირატესობა“) კვლევების მიხედვით, ლიბერალურ არაფორმალურ განათლებაში მონაწილეობა ზრდასრულ შემსწავლელებს არაერთ უპირატესობას ანიჭებს. ეს უპირატესობები, თავის მხრივ, ხშირად მყისიერ გავლენას ახდენს ისეთ უახლოეს სოციალურ ჯგუფებზე, როგორცაა: ოჯახი, სამუშაო ადგილი და სხვა სოციალური კავშირები. სწორედ ამიტომ ლიბერალური ზრდასრულთა განათლება საზოგადოებას მნიშვნელოვან სარგებელს აძლევს. მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლებაში ჩართული 8646 რესპოდენტიდან 70-87%-მა პოზიტიური ცვლილებები აღნიშნა სწავლის მოტივაციაში, სოციალურ ინტეგრაციაში, ზოგად კეთილდღეობაში და ცხოვრებით კმაყოფილების საკითხებში. მათ ნაკლებად ხშირად გამოუცდიათ სამსახურთან, კარიერასთან და აქტიურ მოქალაქეობასთან დაკავშირებული ცვლილებები, თუმცა აქაც კი, 31-42%-მა პოზიტიური ცვლილებები დააფიქსირა.

უფრო დაწვრილებით იხილეთ: [www.bell-project.eu/cms/wp-content/uploads/2014/06/Bell-Survey\\_results.pdf](http://www.bell-project.eu/cms/wp-content/uploads/2014/06/Bell-Survey_results.pdf) გვ.122



# მიგრაცია და დემოგრაფიული ცვლილებები

ზრდასრულთა განათლებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ევროპაში დღეს არსებულ მიგრაციულ სიტუაციაში. სამოქალაქო განათლებას და კულტურათაშორის სწავლებას, აქტიურ მოქალაქეობრივ აზროვნებას და სტუმართმოყვარეობას შეუძლია ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოთა შორის ინტეგრაციისთვის გახსნილი კულტურის შექმნას. ენების კურსების და საბაზო უნარების კურსების მეშვეობით შესაძლებელია ევროპის შიდა და გარე მიგრანტებისთვის ახალ ქვეყანაში წარმატებული ინტეგრაციის პირობების შექმნა. კულტურათაშორისი

დიალოგის ტექნიკისა და მიდგომების გამოყენება წევრი სახელმწიფოების ადგილობრივ და ახალ მოქალაქეებს შორის გამოცდილების გაზიარების საშუალებას იძლევა, რაც მიგრანტებს თავიანთი ახალი სახლის კულტურული და სოციალური საფუძვლების გაგებაში ეხმარება, ხოლო მიმღები ქვეყნის მოქალაქეებს - ახალი ჩვევების შეთვისებაში და ქვეყნის ნელ-ნელა გადაყვანაში მომავალზე ორიენტირებულ დემოკრატიკაში. გრძელვადიანი პროგნოზით, ევროპას დასჭირდება არსებული და კიდევ სხვა მიგრანტები, რათა უკვე დაწყებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს გაუმკლავდეს. აქტიური დაბერება, თავის

მხრივ, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწავლა მესამე ასაკშიც შესაძლებელი იქნება. კვლევები გვიჩვენებს, რომ მესამე ასაკის შემსწავლელი უფრო აქტიურები არიან, უფრო ხშირად ხდებიან მოხალისეები, უფრო ხანგრძლივად მუშაობენ და ჯანმრთელობასაც ინარჩუნებენ. აქედან გამომდინარე, ხანდაზმული შემსწავლელი დემოგრაფიული კრიზისის მოგვარების საშუალებას წარმოადგენენ. უფრო მეტიც, მათ უდაოდ დიდი სარგებელი მოაქვთ ევროპული დემოკრატიისთვის.

## საუკეთესო პრაქტიკა

ფატიმა ირლანდიაში 2013 წლის ნოემბერში დედასთან და ორ ძმასთან ერთად ჩავიდა. თავიდან სამი თვე დუბლინში ცხოვრობდა, შემდეგ კი ოჯახთან ერთად ტალამორში გადავიდა. ფატიმა ლტოლვილია ავღანეთიდან, გამოირა ირანი და შემდგომი 3 წელი სირიაში ცხოვრობდა. როცა ის ირლანდიაში ჩავიდა, იუსტიციის განყოფილება ენის კურსებზე მოწყობაში დაეხმარა. ფატიმას კურსები იზოლირებული მოეჩვენა, მას ირლანდიელ ხალხთან ინტეგრაცია სურდა. სწორედ მაშინ შეიტყო პროფესიული კურსების გავლის შესაძლებლობაზე. ამჟამად მან უკვე დაასრულა სწავლის პირველი წელი. კურსი ორ წელზეა გათვლილი და მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები საწყის კურსს პირველ წელს, ხოლო მეორე წელს - დამამთავრებელს გადიან, ფატიმამ იგრძნო, რომ უნარი შესწევდა, ფიზიკისა და ქიმიის ორი კურსი ერთ წელიწადში გაეგლო. ამაში მას დამატებითი განათლების ტალამორის ცენტრიც დაეხმარა. გოგონას, ასევე, შესთავაზეს ატლონის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლა მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დასამუშავებლად. ფატიმას ახლა დიდი მიზნები აქვს, ბრწყინვალედ ფლობს ინგლისურს, მომავალს მტკიცედ, იმედით უყურებს და პროფესიული განათლების საკითხებში მხარდაჭერისთვის მადლიერებას გამოხატავს „Laois and Offaly ETB“ საბჭოს მიმართ.



# მდგრადობა

მდგრადობის მიღწევა ყველა სფეროში ნამდვილი გამოწვევა ხდება ევროპისთვის: ეკო-მეგობრული მოხმარებით და ტრანსპორტით დაწყებული - ენერგოეფექტურობით დამთავრებული. ევროპის მოქალაქეებისთვის, ერთი მხრივ, აუცილებელია ინფორმაციის მიღება და მეორე მხრივ - სივრცე ინოვაციების დანერგვისთვის ცხოვრების ახალი სტილის, მიდგომებისა და პროექტების განხორციელების მიზნით. ზრდასრულთა განათლებას შეუძლია უზრუნველყოს ინფორმაცია, სივრცე დებატებისთვის და კრეატიულობა. ზრდასრულთა განათლება მდგრადი განვითარების სამი განზომილების ურთიერთქმედების

მამოძრავებელი ძალაა (ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური) და შეუძლია, წვლილი შეიტანოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2030 წლის პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში. არსებობს ზრდასრულთა განათლების რეალური აუცილებლობა მდგრადი განვითარების საკითხებში, სადაც არაფორმალური განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ზრდასრულთა განათლებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს როგორც ლისაბონის დღის წესრიგის მიღწევაში მდგრადი, გონიერი და ინკლუზიური განვითარებისთვის, ასევე ევროკომისიის პრეზიდენტის

- ჟან კლოდ იუნკერის - პროგრამებისთვის. ყველაფერთან ერთად, ზრდასრულთა განათლებას შეუძლია დასაქმების დონის გაზრდის ხელშეწყობა, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და საერთო ციფრული ბაზრის დახმარება. მდგრადი განვითარების პრინციპის ხელშეწყობით, ზრდასრულთა განათლებას შეუძლია დაეხმაროს ენერგეტიკული კავშირის მუშაობას და კლიმატის ცვლილების საკითხებში პროგრესული პოლიტიკის ამოცანების შესრულებას. ზრდასრულთა განათლებას, აგრეთვე, შეუძლია ევროპული ფასეულობებისა და ნდობის ხელშეწყობა და საერთო ბაზარზე ზემოქმედება, მაგალითად, სამუშაო ძალის თავისუფლად გადაადგილებისთვის უნარების სწავლების უზრუნველყოფით.

## კვლევებით დასტურდება

ზრდასრულთა განათლება უდიდეს როლს ასრულებს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში. საპილოტე კურსი [...] მოქალაქეობის ფორმირების სკანდინავიურ ტრადიციას “folkeopplysning” ეყრდნობა. [...] სამიზნე ჯგუფები, რომლებთანაც სტუდენტები მუშაობენ, ზრდასრული შემსწავლელებისაგან შედგება, რომელთა შორის ადგილობრივი მოქალაქეები და სკოლის მასწავლებლები არიან. კურსის ფარგლებში პროექტის თემატური ჩარჩო ქვემოთ ჩამოთვლილს მოიცავს:

- მდგრადი შენობები და მასალები
- მდგრადი კვების პროდუქტები
- პარტნიორული ურთიერთობის დალაგება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელსა, სამოქალაქო საზოგადოებასა და კომერციულ სექტორს შორის: ადგილობრივი დღის წესრიგის 21 გააქტიურების მეთოდი;
- სერტიფიცირების მეთოდის ეკოლოგიური პრინციპების და მდგრადი მენეჯმენტის შემუშავება;
- ეთიკური მოხმარებისა და გლობალური მოქალაქეობის კონცეფცია.

## წარმატებული პრაქტიკა

ავსტრიის საკონსულტაციო ოფისმა გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით “Umweltberatung” სპეციალური „ენერგოეფექტური მომხმარებლის მოწმობა“ შეიმუშავა. ეს არის ელექტროენერჯის ეკონომიური მოხმარების ინსტრუმენტი კერძო სახლებში, მცირე და საშუალო საწარმოებში და თემებში გარემოს დასაცავად და ენერგორენტაბელურობისთვის. ყოველდღიურ ცხოვრებაში ენერგორენტაბელურობას თავისი წვლილი შეაქვს ელექტროენერჯის დანახარჯების შემცირებაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახური მეურნეობის მქონე, სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანებისთვის. ელექტროენერჯის მიმართ გონივრული დამოკიდებულება და ენერგოეფექტური ქცევის სტრატეგიის გამომუშავება, პირველ რიგში, ნიშნავს ხარჯების შემცირებას და სწორედ ამით ეხმარება ადამიანებს სიღარიბის დაძლევაში. სამუშაო ადგილზე ელექტროენერჯის ხარჯების შემცირების წყალობით ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ცხოვრებაში მდგრადობის სტიმულირებას.

დაწვრილებით იხილეთ: [www. Umweltberatung.at/ueber-uns-international and energie-fuehrerschtein.at](http://www.Umweltberatung.at/ueber-uns-international-and-energie-fuehrerschtein.at)



# ზრდასრულთა განათლება და ევროპული პოლიტიკა

ზრდასრულთა განათლებას თავისი წვლილი შეაქვს ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებში:

- მდგრადი, გონივრული და ინკლუზიური ზრდის ევროპული სტრატეგიის რეალიზება.
- მთავარი ევროპული ფასეულობების განვითარება, როგორცაა: სამართლიანობა, სოციალური ინტეგრაცია, აქტიური მოქალაქეობა, შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამოყენება.
- ევროპაში უმუშევრობის დონის შემცირება ადამიანების არსებული უნარ-ჩვევების დადასტურებით, ან კვალიფიკაციის ამაღლების შედეგად დასაქმების სისტემაში დაბრუნებით.
- იმ ადამიანების რიცხვის შემცირება (80 მილიონი), რომელთაც არა აქვთ

საკმარისი უნარ-ჩვევები და უწყვეტ განათლებაში უფრო იშვიათად არიან ჩართული, ვიდრე მათზე გაცილებით განათლებული ადამიანები: ზრდასრულთა განათლება რეალურად იღებს პრაქტიკულ ზომებს ასეთი ადამიანების ჯგუფების უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებისთვის.

- ევროკომისიის მიზნის მისაღწევად სიღარიბის ან სოციალური გარიყულობის ზღვარზე მყოფი ადამიანების რიცხვის სულ ცოტა 20 მილიონით შემცირება, იმის გათვალისწინებით, რომ ზრდასრულთა განათლება მათ ეხმარება საკუთარ ძალებში რწმენის განმტკიცებაში, საზოგადოებაში ინტეგრაციაში და სამუშაოს ძიებაში (პროფესიის შეცვლაში).

დასაქმებიდან და ზრდიდან

- ციფრულ ბაზრამდე, კლიმატური ცვლილებიდან - შიდა ბაზრამდე, მიგრაციიდან - გლობალურ საკითხებამდე და დემოკრატიულ ცვლილებამდე ზრდასრულთა განათლებას წვლილი შეაქვს როგორც ევროპა 2020, ასევე, ჟან იუნკერის პროგრამაში. გარდა ამისა, ზრდასრულთა განათლება მთავარი ინსტრუმენტია გაერთიანებული ერების 2030 წლის მიზნების მიღწევაში და მდგრად განვითარებაში. ზრდასრულთა განათლებას უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს ერთიანი, აყვავებული, მშვიდობიანი ევროპის მიღწევაში, რომელსაც შეუძლია წარმატებით გაუმკლავდეს მომავლის გამოწვევებს.

გამომცემლობა: ზრდასრულთა განათლების ევროპის ასოციაცია  
 ტექსტი: ჯინა ებნერი ( EAEA) EAEA წევრების, აღმასრულებელი საბჭოს და სამდივნოს მხარდაჭერით  
 თარგმანი: ნინო კოდუა (საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი)  
 დამტკიცებულია: აურა ბუორინინენე (EAEA)  
 თანადადამფინანსებელი: Erasmus+ ევროკავშირის პროგრამა



Co-funded by the  
 Erasmus+ Programme  
 of the European Union

მოცემული პუბლიკაცია შემუშავებულია ფინეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით

გამოცემაში ევროპის კომისიის მხარდაჭერა არ ნიშნავს მის თანხმობას შინაარსთან დაკავშირებით. მოცემული დოკუმენტი გამოხატავს მისი ავტორების აზრს და ევროკომისია არ იზიარებს პასუხისმგებლობას აქ მოცემული ინფორმაციის ნებისმიერი სახით გამოყენებაზე.



**EUROPEAN ASSOCIATION FOR  
THE EDUCATION OF ADULTS**

Mundo-J, Rue de l'Industrie 10, B-1000 Brussels

Tel. +32 2 893 25 22, [eaea-office@eaea.org](mailto:eaea-office@eaea.org)

[www.eaea.org](http://www.eaea.org)